საკონსულტაციო-აუდიტური ფირმა
შპს კონსაუდი
0154 თბილისი, წერეთლის გამზ. № 61

Auditing and Consulting Company
CONSAUDI Ltd
61Tsereteli ave. Tbilisi, Georgia 0154

# შ პ ს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

## აუდიტორის დასკვნა

2007 წ.

საკონსულტაციო-აუდიტური ფირმა
შპს კონსაუდი
380054 თბილისი, წერეთლის გამზ. № 61
ტელ/ფაქსი: (+99532) 35-01-57, 35-67-56, 35-43-97
8 99 567-842, 8 99 280-406, 8 99 194-977

Auditing and Consulting Company
CONSAUDI Ltd
61Tsereteli ave. Tbilisi, Georgia 380054
phone/fax:(+99532) 35-01-57, 35-67-56, 35-43-97
8 99 567-842, 8 77 419-412, 8 99 194 977

№ დ-13 14.07.2008 წ.

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"-ს დამფუძნებელს

ჩავატარეთ შპს **„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"**-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ბალანსისაგან 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისაგან.

***ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის დაპროექტებას, დანერგვასა და ფუნქციონირებას, რომელიც შეესაბამება ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, აგრეთვე სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლას.

***აუდიტორის პასუხისმგებლობა***

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, აგრეთვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

26.08.1996წ. თბილისი მთაწმინდის რ-ნის სასამართლო № 4/4-635
აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია ზ№ 013 სერთიფიკატი ზ№ 338, ზ№ 1/117
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი № 201950996, დღგ სარეგისტრაციო სერტიფიკატი № 04021, 20.09.2000 წელი

გვჯერა, ჩვენ მიერ შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო დასაბუთებული ბაზის შესაქმნელად.

**მოსაზრება**

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

არ ვადგენთ რა პირობით დასკვნას, ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ გარემოებაზე: 2007 წლის მოვლენებმა ცხადყო, რომ წინა პერიოდის საიმედო ინფორმაცია ვერ იქნა გამოყენებული იმის გამო, რომ იგი ხელმისაწვდომი არ იყო 2006 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე. აღნიშნულმა გამოიწვია წინა წლის ფინანსური შედეგის არსებითი ცვლილება, რაც წმინდა მოგების 111 873 ლარით შემცირებაში და ბალანსის მუხლების შესაბამისად კორექტირებაში გამოიხატა. 2007 წელს დადგენილი ცვლილებები რეტროსპექტულად არის გადაანგარიშებული წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნაშია აღწერილი, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-ს საქმიანობის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, მართლზომიერად მოსალოდნელია კორექტირებას დაექვემდებაროს 2007 წლის ფინანსური ანგარიშგებაც, თუმცა აუდიტის დასრულების ეტაპზე შეუძლებელია მოსალოდნელი ცვლილების არსებითობაზე მსჯელობა, რადგან არ არსებობს მოსალოდნელი ცვლილების თანხობრივი შეფასებისათვის აუცილებელი პირობა.

შპს „კონსაუდი“-ს
დირექტორი: რ. ძაძამია

# ბ ა ლ ა ნ ს ი

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: *შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“*

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება*

იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის № 47*

საქმიანობის დარგი: *ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა*

ზომის ერთეული: *ლარი*

| აქტივები | | 31.01.2007 | | 31.01.2006 | |
|---|---|---|---|---|---|
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 1 | 100 083 | | 72 623 | |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | | | | 4 137 | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | | 100 083 | | 76 760 |
| **მიმდინარე აქტივები** | | | | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2 | 41 100 249 | | 12 916 023 | |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები | | 9 141 | | 6 546 | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | | 2 017 345 | | 1 641 849 | |
| **სულ მიმდინარე აქტივები:** | | | 43 126 735 | | 14 564 417 |
| **სულ აქტივები:** | | | ***43 226 818*** | | ***14 641 177*** |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | | | | |
| **კაპიტალი და რეზერვები** | | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 2 | 200 | | 200 | |
| გაუნაწილებელი მოგება | | (111 873) | | | |
| მიმდინარე წლის მოგება | | 4 095 735 | | 41 510 | |
| **სულ კაპიტალი და რეზერვები** | | | 3 984 062 | | 41 710 |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | | |
| გადავადებული მოგების გადასახდი | | 20 017 | | 14 525 | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | 20 017 | | 14 525 |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 3 | 38 247 237 | | 14 382 863 | |
| საგადასახადო ვალდებულებები | 4 | 975 502 | | 202 080 | |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | 39 222 739 | | 14 584 943 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | | ***43 226 818*** | | ***14 641 177*** |

დირექტორი ბ. ჭყონია

მთ. ბუღალტერი ხ. ჩადუნელი

ბ.ა

# მოგებისა და ზარალის წლიური ანგარიშგება

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: *შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"*

იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის № 47*

საქმიანობის სახე: *ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა*

ზომის ერთეული: *ლარი*

| | | 31.12.2007 | 31.12.2006 |
|---|---|---|---|
| **ამონაგები** | 5 | **139 405 560** | **28 165 980** |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები | 6 | 83 613 | 5 732 |
| შეძენილი ნედლეული და მასალები | | (130 430 667) | (27 555 035) |
| ცვლილება მარაგის ღირებულებაში | | 2 596 | 6 546 |
| პერსონალის შენახვის ხარჯები | | (1 342 392) | (408 068) |
| ცვეთის ხარჯი | | (24 289) | (1 642) |
| საგადასახადო ხარჯი | | (269 342) | (87 427) |
| მომსახურების ხარჯი | 7 | (2 117 097) | (48 840) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 8 | (165 465) | (22 595) |
| **მოგება საოპერაციო საქმიანობიდან** | | **5 142 516** | **54 650** |
| ფინანსური ხარჯები | | (8 068) | (2 751) |
| **მოგება-ზარალი დაბეგვრამდე** | | **5 134 448** | **51 898** |
| მოგების გადასახადი | 9 | (1 038 713) | (10 388) |
| **საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება** | | **4 095 735** | **41 510** |

დირექტორი: ბ. ჭყონია

მთ. ბუღალტერი ხ. ჩადუნელი

ESCO ესკო
"ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATION" LTD
205170036

# წლიური ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ
## 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: *შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“*

იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის № 47*

საქმიანობის სახე: *ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა*

ზომის ერთეული: *ლარი*

| | საწესდებო კაპიტალი | აკუმულირებული მოგება-ზარალი | სულ |
|---|---|---|---|
| ნაშთი 2006 წლის 1 სექტემბერს | **200** | **0** | **200** |
| ცვლილება საკუთარ კაპიტალში 2006 წელს | | | |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | *0.00* | *153 383* | **153 383** |
| დივიდენდები | *0.00* | *0.00* | **0** |
| ნაშთი 2006 წლის 31 დეკემბერს | **200** | **153 383** | 153 583 |
| 2006 წლის შედეგის კორექტირება | | *-111 873* | *-111 873* |
| ახალი ნაშთი ცვლილებების შემდეგ | **200** | **41 510** | **41 710** |
| ცვლილება საკუთარ კაპიტალში 2007 წელს | | | |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | *0.00* | *4 095 735* | **4 095 735** |
| დივიდენდები | *0.00* | *-153 383* | **-153 383** |
| ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბერს | **200** | **3 983 862** | **3 984 062** |

დირექტორი: ბ. ჭყონია

მთ. ბუღალტერი: ხ. ჩადუნელი

# ფულადი ნაკადების ანგარიშგება

**2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ორგანიზაციის დასახელება: *შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“*

იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის № 47*

საქმიანობის სახე: *ელქტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა*

ზომის ერთეული: *ლარი*

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | 31.12.2007 | | 31.12.2006 | |
|---|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო** | | | | |
| კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები | **109 403 350** | | **17 006 876** | |
| მომწოდებლებზე გადახდილი ფული | (102 340 791) | | (14 081 572) | |
| თანამშრომლებზე გადახდილი ფული | 1 190 598 | | (363 008) | |
| საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები: | 8 253 158 | | 2 562 296 | |
| გადახდილი გადასახადები | (7 861 421) | | (868 613) | |
| ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე | 391 737 | | 1 693 683 | |
| *წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან* | | *391 737* | | *1 693 683* |
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | | |
| საწესდებო კაპიტალის შენატანები | - | | 100 | |
| გრძელვადიანი აქტივების შეძენა | (75 310) | | (50 705) | |
| *წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან* | | *(75 310)* | | *(50 605)* |
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან** | | | | |
| მიღებული პროცენტი დეპოზიტებიდან | 67 137 | | 1 522 | |
| გადახდილი პროცენტი | (8 068) | | (2 751) | |
| გრძელვადიანი სესხები | 1 769 000 | | 200 000 | |
| გრძელვადიანი სესხების დაფარვა | (1 769 000) | | (200 000) | |
| *წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან* | | *59 069* | | *(1 229)* |
| **ფულადი სახსრების წმინდა ზრდა** | | **375496** | | **1641849** |
| **ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარისგებო პერიოდის დასაწყისისათვის** | **1641849** | | **0** | |
| **ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის** | **2017345** | | **1641849** | |

დირექტორი: ბ. ჭყონია

მთ. ბუღალტერი ხ. ჩადუნელი

ბა

# განმარტებითი შენიშვნები

შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდეგში საწარმო ან „ესკო“) ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ სამოქმედოდ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) 2004 წლის ვერსიის საფუძველზე.

## სააღრიცხვო პოლიტიკა

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. წლიური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია 2007 წლის ბუღალტრულ ანგარიშებში ასახულ სააღრიცხვო ინფორმაციაზე და ანგარიშგების გამოქვეყნების ნებართვამდე ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, რომელიც ეხებოდა საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებს, ხარჯებს, მოთხოვნებსა და ვალდებულებებს.

შენიშვნა 1

ძირითადი საშუალებები (ლარი)

| | ობიექტის დასახელება | ნაშთი 31.12.07 | შემოსვლა | გასვლა | ნაშთი 31.12.06 |
|---|---|---|---|---|---|
| | შეძენის ღირებულება | | | | |
| 1 | ოფისის აღჭურვილობა | 7240 | 5594 | | 1646 |
| 2 | ავეჯი და სხვა ინვენტარი | 17765 | 5208 | | 12557 |
| 3 | სატრანსპორტო საშუალებები | 46965 | 6858 | | 40106 |
| 4 | კომპიუტერი, პერიფ. მოწყობილობა | 34721 | 16691 | | 18030 |
| 5 | სხავა მოწყობილობა | 19325 | 17398 | | 1927 |
| | ჯამი | 126 014 | 51 749 | | 74 266 |
| | ცვეთა | ნაშთი 31.12.07 | ცვეთის დარიცხვა | გასული აქტივის ცვეთა | ნაშთი 31.12.06 |
| 1 | ოფისის აღჭურვილობის ცვეთა | 1 101 | 1 049 | | 53 |
| 2 | ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა | 3 679 | 3 592 | | 87 |
| 3 | სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა | 10 224 | 9 273 | | 951 |
| 4 | კომპიუტერი, პერიფ. მოწყობ-ს ცვეთა | 8 207 | 7 684 | | 523 |
| 5 | სხვა მოწყობილობის ცვეთა | 2 720 | 2 692 | | 29 |
| | ჯამი | 25 932 | 24 289 | | 25 932 |
| | საბალანსო ღირებულება | 100 083 | | | 25 932 |

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ისინი ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.
აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ლარი)

| | დასახელება | 31.12.07 | 31.12.06 |
|---|---|---|---|
| 1 | მოთხოვნები მიწოდებიდან* | 40 237 702 | 12 602 280 |
| 2 | მოთხოვნები მომსახურებიდან | 352 778 | 258 327 |
| 3 | მოთხოვნები საწ. პერსონალის მიმართ | 78 | 150 |
| 4 | გადახდილი ავანსები | 1 732 | 49 092 |
| 5 | დარიცხული მოთხოვნები | 11 591 | 4 168 |
| 6 | წინასწარ გაწეული ხარჯები | 9 317 | 1 753 |
| 7 | მოგების გადასახადი | | 152 |
| 8 | საშემოსავლო გადასახადი | 370 | |
| 9 | დღგ | 486 681 | |
| | ჯამი | 41 100 249 | 12 915 922 |

* **40.237.702** ლარი მოიცავს მყიდველებისათვის დარიცხულ საურავს თანხების დროულად გადაუხდელობასთან დაკავშირებით. საწარმოს დავა წარმოეშვა ერთ მყიდველთან 2007 წელს დარიცხულ საურავთან დაკავშირებით 1.386.600 ლარზე. დავა საწარმოს სასარგებლოდ გადაწყვიტა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ. ეს გადაწყვეტილება მყიდველმა გაასაჩივრა, მაგრამ სასამართლომ ძალაში დატოვა კოლეგიის გადაწყვეტილება 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით. ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის უცნობია სასამართლოს განჩინება გასაჩივრდება თუ არა სააპელაციო წესით.

შენიშვნა 3

სავაჭრო ვალდებულებები (ლარი)

| | დასახელება | 31.12.07 | 31.12.06 |
|---|---|---|---|
| 1 | ვალდებულება ელ. ენერგიის მომწოდებ. წინაშე | 38 191 957 | 13 890 836 |
| 2 | ვალდებულება სხვა მომწოდებლების წინაშე | 19 061 | 27 618 |
| 3 | მიღებული ავანსი | 36 176 | 464 349 |
| 4 | ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე | 44 | 61 |
| | ჯამი | 38 247 238 | 14 382 863 |

შენიშვნა 4

საგადასახადო ვალდებულებები (ლარი)

| | დასახელება | 31.12.07 | 31.12.06 |
|---|---|---|---|
| 1 | ქონების გადასახადი | 263 | 121 |
| 2 | დღგ | | 200 942 |
| 3 | მოგების გადასახადი | 974 518 | |
| 4 | სოციალური გადასახადი | 722 | 641 |
| 5 | საშემოსავლო გადასახადი | | 375 |
| | ჯამი | 975 502 | 202 080 |

შენიშვნა 5

ამონაგები (ლარი)

| | დასახელება | 31.12.07 | 31.12.06 |
|---|---|---|---|
| 1 | შემოსავალი ელ.ენერგიის მიწოდებიდან | 112 084 229 | 25 437 538 |
| 2 | შემოსავალი მომსახურებიდან | 2 145 704 | 696 736 |
| 3 | შემოსავალი სარეზერვო სიმძლავრის მიწოდებიდან | 23 140 492 | 1 994 752 |
| 4 | დარიცხული საურავი | 2 035 135 | 36 953 |
| | ჯამი | 139 405 560 | 28 165 980 |

შენიშვნა 6

სხვა საოპერაციო შემოსავლები (ლარი)

| | დასახელება | 31.12.07 | 31.12.06 |
|---|---|---|---|
| 1 | საპროცენტო შემოსავალი | 74 560 | 5 732 |
| 2 | საკურსო სხვაობა | 9 053 | |
| | ჯამი | 83 613 | 5 732 |

შენიშვნა 7

მომსახურების ხარჯები (ლარი)

| | დასახელება | 31.12.07 | 31.12.06 |
|---|---|---|---|
| 1 | დაზღვევის ხარჯი | 2 395 | 187 |
| 2 | რეკლამის ხარჯი | 3 089 | 2 700 |
| 3 | საიჯარო ხარჯი | 120 070 | 16 299 |
| 4 | კომუნიკაციის ხარჯი | 38 236 | 13 756 |
| 5 | გარეშე პირთა მომსახურება | 1 953 308 | 15 898 |
| | სულ ხარჯები | 2 117 097 | 48 840 |

შენიშვნა 8

სხვა ხარჯები (ლარი)

| | დასახელება | 31.12.07 | 31.12.06 |
|---|---|---|---|
| 1 | ელექტრო ენერგიის ხარჯი | 7 689 | 2 872 |
| 2 | მივლინების ხარჯი | 37 394 | 19 723 |
| 3 | საკურსო სხვაობა | 79 583 | |
| 4 | საგადასახადო ჯარიმა | 38 285 | |
| 5 | წარმომადგენლობითი ხარჯი | 2 514 | |
| | სულ ხარჯები | 165 465 | 22 595 |

შენიშვნა 9

მოგების გადასახადის ხარჯი (ლარი)

| | დასახელება | 31.12.07 | 31.12.06 |
|---|---|---|---|
| 1 | მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი | 1 029 084 | |
| 2 | მიმდინარე მოგების გადასახადის სარგებელი | | (4 137) |
| 3 | გადავადებული საგადასახადო აქტივის უკუგატარება | 4 137 | |
| 4 | გადავადებული მოგების გადასახადი | 5 492 | 14 525 |
| | სულ ხარჯები | 1 038 713 | 10 388 |

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №99 ბრძანებით დამტკიცებული “ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების” 27-ე მუხლის შესაბამისად, სისტემის კომერციული ოპერატორი ახორციელებს საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ერთიანი ბაზისა და ანგარიშსწორების საბოლოო ინფორმაციის დამუშავებას. მხარეებს შორის საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების საფუძველია გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული ელექტროენერგიის, შესაბამისად პირდაპირი კონტრაქტებით შესყიდული და გაყიდული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებული ფაქტობრივი რაოდენობების შედარების გზით განსაზღვრული საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობები.

„ბაზრის წესების” 26-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტში ცვლილებების შეტანა ხდება იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია ამ აქტის გაფორმებისათვის. არსებული წესი ითვალისწინებს სათანადოდ გაფორმებული და კვალიფიციური საწარმოს მიერ დამოწმებული აქტის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარდგენას, რომელიც ამოწმებს მას და მიღებიდან არაუგვიანეს 2 კალენდარული დღისა გადასცემს სისტემის კომერციულ ოპერატორს. აღნიშნული წესის დაცვით, აგრეთვე რიგ შემთხვევებში თავად კვალიფიციური საწარმოების მიერ წარმოდგენილია ცვლილებები არსებულ გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტებში, რაც საჭიროებს უკვე განხორციელებულ ერთიან ანგარიშსწორების მაჩვენებლებში ცვლილებების განხორციელებას.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის არსებული ინფორმაციით „ბაზრის წესების” შესაბამისი პროცედურების გავლის ეტაპზეა 20-ზე მეტი მაკორეტირებელი აქტი, რომელთა საფუძველზე მოსალოდნელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა 2006 და 2007 წლების სააღრიცხვო მონაცემებში და ფინანსურ ანგარიშგებებში გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის, ასევე ელექტროენერგიის ფაქტიური დანაკარგების, მოცულობისა და ღირებულების დაზუსტების შემდეგ.